# შპს „ვარციხე 2005“

# ტექნიკური დავალება

*შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 3-ის საგენერატორო შენობაში არსებული მარჯვენა ფლიგელის დაზიანებული შიდა კიბის უჯრედის შეკეთება*

**1. ზოგადი დახასიათება**

შპს“ ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 3 – ექსპლუატაციაში შევიდა 1980 წ. ჰესის ტეროტორიაზე განლაგებულია ძირითადი შენობა - ჰესის საგენერატორო შენობა, რომელშიც დამონტაჟებულია ჰესის ძირითადი ელ.ძალოვანი მოწყობილობები - ჰიდროაგრეგტაები და ასევე მათი დამხმარე მოწყობილობები და შედგება 4 სართულიდან: ერთი მიწისზედა სართული - სამანქანო დარბაზი; 3 მიწისქვეშა სართული - სატურბინო დარბაზი, ტექნიკური წყალმომარაგების დარბაზი და სადრენაჟო გალერეა.

სართულები დაკავშირებულია ერმანეთთან შიდა კიბეებით - შენობის მარჯვენა და მარცხენა მხარეს), რომლებიც აგებულია რკინის (მეტალის) ჩარჩოებზე დადგმული ბეტონის საფეხურებით. ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად და წყლის და ნესტის ზემოქმედების შედეგად კიბეები ძლერ არის დაზიანებული - კოროზირებულია, ზიგიერთ ადგილას მეტალის კონსტრუქციები მასიურად გამოსულია მწყოდრიდან.

ელ.მოწყობილობებში უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის მიზნით და დანადგარების უსაფრთხოდ მუშაობის მიზნით აუცილებელია აღნიშნული კიბეების აღდგენა-შეკეთება.

**2. სამუშაოს ადგილმდებარეობა**

დასავლეთ საქართველო, იმერეთის რეგიონში წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე განლაგებული ოპერირებადი ვარციხე ჰესების კასკადი, შემდგარი ოთხი იდენტური ჰიდოელექტროსადგურიდან:

ჰესი 3 - წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი, საკ კოდი 29.16.35.014

**3. სამუშაოს მოკლე აღწერა**

შესასრულებელი სამუშაო წარმოადგენს არსებული კიბის უჯრედების სრულ დემონტაჟს და ახალი კიბის უჯრედების მონტაჟს, მათ შორის :

- არსებული კიბის უჯრედების კიბის სეფეხურების დემონტაჟი;
- არსებული კიბის უჯრედების კონსტრუქციების დემონტაჟი;
- ახალი მეტალოკონსტრუქცოების (კიბის მარშების) მონტაჟი;
- ბაქნის საყრდენების მონტაჟი;
- ახალი ბაქნის მეტალოკონსტრუქციების მონტაჟი;

- ახალი კიბის საფეხურების დამზადება-დამუშავება და მონტაჟი (საფეხურების მასალა - რკინის ფირფიტა სისქით 3 მმ, ე.წ. „რიფლიონკა“).

- ახალი ბაქნების დამზადება-დამუშავება და მონტაჟი (ბაქანის მასალა - რკინის ფირფიტა სისქით 3 მმ, ე.წ. „რიფლიონკა“).

- მეტალოკონსტრუქციების და კიბის საფეხურების ანტიკოროზიული საღებავით შეღებვა.

*შენიშვნა:* ახალი კიბის მეტალოკონსტრუქციების მონტაჟის დროს დასაშვებია არსებული მეტალოკონსტრუქციების კვანძების გამოყენება მათი ვარგისიანობის შემთხვევაში.

**სატენდერო წინადადებას თან უნდა დაერთოს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის (მასალების და მომსახურეობის ხარჯების) ცხრილი, რომლის მიხედვითაც ტენდერში მონაწილე პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს საჭირო მასალებისა და მომსახურეობის დეტალური ღურებულება.**

**4. დამატებითი მოთხოვნები**

- სამუშაოები უნდა განხორციელდეს აღნიშნულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა სრული დაცვით.
- მსგავსი სამუშაოების წარმოების გამოცდილება;
- წარმოდგენა იმ პროექტების, რომელიც ჩატარებულია საქართველოში;

*შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია*